

# თავისუფალი საქართველო

ეროვნული  
ნიშნით

მრავალი მაგიდის  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 7 (12)

8 III 1991

## საქართველო ეროტიანია

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველო დღეს ისეა გაერთიანებული, როგორც არასოდეს ყოფილა ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. ამისდა მიუხედავად იდეალურად სასურველი ერთიანობა ჩვენში ჯერ, რასაკვირველია, არ არის. რამ უნდა მოგვიტანოს ამგვარი ერთიანობა?

საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, არსებობს და მუდამ იარაღებს მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომლის უპირველესი საზრუნავი არის და იქნება პირადი კეთილდღეობა. სახელმწიფოს ვალია ამგვარად მოაწიოს ცხოვრება ქვეყნის შიგნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მოსახლეობის ყველა გონივრული, კანონზომიერი მოთხოვნილება, რათა საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავი იგარძოს ქვეყნის მოქალაქედ და არა კრიმინალურ ელემენტად, რომელიც ათასგვარ დიდსა თუ მცირე დანაშაულს ჩადის სარჩო-საბადებლოს, ჩაცმა-დახურვის შესაძლებლობის, თუნდაც დასვენების უფლების მოსაპოვებლად. ამ ბუნებრივ, ცივილიზებულ მდგომარეობას საქართველო უცილობლად მიაღწევს მრავალი დამარცხების მიუხედავად, მაგრამ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მართლაც ზემოხსენებული ფაქტორებით განსაზღვრავს ქვეყნის ავტორიტეტს, ცხადია, ერის სულიერი მდგომარეობის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება. ალბათ, ეს ადამიანები ერის სულიერად პასიურ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც იმდენად იქნება გარკვეულწილად ერთიანი მთელს ერთან, რამდენადც სახელმწიფო, როგორც ვთქვით, შესძლებს მათი კეთილდღეობის, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

თავს თუ არ მოგიტყუებთ, იმასაც ცხადად დაგინახავთ, რომ ჩვენს ირგვლივ არც მათი ნაკლებობა,

ვიხსენებ ამა თუ იმ გზით და ამა თუ იმ „ბანაკის“ სახელით გამიზნულად ირგვლივ ერის ერთიანობის წინაღობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მიიწეოდა სრულიად აშკარად ჩანს, რომ ერის, ასე ვთქვათ, სულიერად აქტიური ნაწილი არ არის ერთიანი. ახლა ამ გათიშულობას მრავალნაირი ახსნა-განმარტება ეძებნება, მაგრამ უდავოდ არსებობს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც არსებითად თიშავს ქართულ ნასწავლ საზოგადოებას. ჩვენის ფიქრით, ეს არის შინაგანი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი უარყოფა ქართული წარმომავლობის სულიერი თუ კულტურული ფენომენის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისა. ვისაც ეპატარაგება ყოველივე ქართული, ეროვნულზე „ამაღლება“ სწავლია და ამით ცდილობს დაუმტკიცოს სხვებსაც და საკუთარ თავსაც პირადი მნიშვნელოვნება. ბოლოს და ბოლოს მათი უფლებაა, ნებისმიერი შეფასება მისცენ ამა თუ იმ მოვლენას და დიდ გარჯადაც არ გვიღიროს ამგვარი ფიქრის შემობრუნება. ახლა სხვა რამ არის მთავარი. ჩვენი დღევანდელი ამღვრელი და აფორიაქებული ცხოვრება დამშვიდდება, დალაგდება და ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება, ამდენი ტკივილიც და ურთიერთწყევაც აღრე თუ გვიან გაივლის. დარჩება საქართველო, რომელიც შემოიკრებს თავის სულიერ შვილებს, სხვები კი ბუნებრივად განიზნევიან და ეს იქნება ის ერთიანობა, რომლის საწინდარს დღესვე ვხედავთ ერში შემონახულ ქართული სულიერი ღირსების რწმენაში.

რწმენა ხომ მისტიკური ფენომენია, ცოდნისგან განსხვავებით. ის ცდას არ ემყარება. მორწმუნეს ძალაც მეტი შესწევს მცოდნეზე, ანუ მწიგნობარსა და ფარისევლებზე, და სიბრძნითაც აღმატებულია მასზე. საქართველოს ამგვარი რწმენა გააერთიანებს. მნიშვნელოვანწილად უკვე გაერთიანა კიდეც.



საქართველოს  
ეროვნული  
ნიშნით







1974 წლის 25 აპრილს სამხედროებმა პორტუგალიაში ხალხარაკეტან...

კათოლიკური პორტუგალია და მართლმადიდებლური რუსეთი გა...

გვჯერა, რომ ლეთისმშობლის მო...

პორტუგალიის ქრისტიანებო!

ტექნიკაში, ჩვენი ქრისტიანული მემკვიდრეობა, რომელიც გულით...

ისტორიის ლაბირინთებში თქვენი ქვეყანა მთელი დროის განმავლობაში...

იმ ღირსშესანიშნავ დღეთა განმავლობაში, როდესაც თქვენს ქვეყანაში...

რუსეთში პოლიტიკური თავისუფლების რამდენიმე თვემ ცხადად...

რუსეთში მონარქიის დაცემის შემდეგ დაწყებული ერის სულიერი...

დაძვლებული კრება უმაღლესი კლასის არსებითი განსხვავება...

„თუ აღმნიშნები დაემორჩილებიან ჩემს სიტყვას, რუსეთი ყველა...

ჩვენი თაობა ამ წინასწარმეტყველების ახლენის თვითმხილველი...

კაცობრიობის ისტორიის ზნეობრივ-ბედგაოგური მნიშვნელობა...

განა საკმარისი არ არის, რომ რუსეთის მიწამ და რუსულმა ეკლესიამ...

როდესაც ხელში გვიჭირავს თქვენი კომუნისტური ლიდერის, კონიალის წიგნი...

ანდა, როდესაც ვითხოვლობთ იმ პერიოდის რუსეთის სახელმწიფო...


გვერდებში, ახალი პორტუგალიის პოლიტიკურ-სოციალურ შენებაში...

თუ კომუნისტები, გამონაკლისის სახით, ხელისუფლების სათავეში შეიძლება მშვიდობიანი და დემოკრატიული...

მღვდელი გლენ იაკონინი. ლენ კაგელსონი. მსხვერპი, 8 აპრილი, 1975 წ.

უაფიკა - პორტუგალიის სასწაული

1917 წლის 13 მაისს, პორტუგალიის პატარა სოფელ კოვა და ირისთან მდებარე დასახლება ფატმაში...



ეს სასწაული ჰქონდა მხედველობაში გლენ იაკონინს, როდესაც პორტუგალიელ ქრისტიანებს მოუწოდებდა...



სულ ბოლო დრომდე მსოფლიო იდეოლოგიური კონფლიქტი მეტად ძლიერი იყო და ამიტომ პოლიტიკური ლეკსიკონის მთავარ სიტყვებს: დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ადამიანთა უფლებები — დასავლეთში და აღმოსავლეთში — ერთნაირი ქედრადონა კი ჰქონდათ, მაგრამ განსხვავებული აღიქმებოდა; უფრო მეტიც, რაიმე გაუგებრობას რომ არ ჰქონდა ადგილი, საბჭოთა კავშირში დემოკრატია მხოლოდ ზედსართავ სახელთან (სახალხო, სოციალისტური, სრულყოფილი, რეალური) ერთად ხმარობდნენ. გარდაქმნის გარკვეულ ეტაპზე საბჭოთა კავშირი იქამდე მივიდა, რომ სიტყვა დემოკრატია განმარტების გარეშე გამოიყენებოდა. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ დემოკრატია, საერთაშორისო სტანდარტებამდე უკვე მიადგინა. მაგრამ რაში მდგომარეობდა დასავლეთის ტიპის დემოკრატია მთავარი მახასიათებლები? ამის შესახებ არც ერთი საბჭოთა ლიდერი არაფერს ამბობდა. იშვიათად, ზოგადი ფრაზებით მოიხსენიებდნენ ხოლმე საზოგადოებაში ძალაუფლების დაყოფის პრინციპს, თან ისეთი სახით აკეთებდნენ ამას, თითქოს თვითონ იყვნენ მისი ავტორები და არა მოხეტიალე, რომლის თქმით, დემოკრატიულ სახელმწიფოში საკანონმდებლო ძალაუფლება (პარლამენტი), შემსრულებელი (მთავრობა), და სასამართლო ძალაუფლება არ უნდა იყოს კონცენტრირებული ერთი პიროვნების ან ჯგუფის ხელში. ისინი გამოყოფილი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან, დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ამასთანავე უნდა აკისრებდნენ, აკონტროლებდნენ ერთმანეთს.

დასავლეთში პრესა ხელს უწყობდა აღნიშნული პრინციპის სრულყოფილ ფუნქციონირებას, თანამედროვე დასავლეთის ვითარებაში პრესის როლი დემოკრატიული სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირების თვალსაზრისით ძალიან გაიზარდა, რის გამოც სპეციალისტების აზრით ის მეოთხე ძალაუფლებად იქცა. დასავლეთის წარმოდგენების თანახმად პრესა აკაცრ ანალიზს უნდა უკეთებდეს მოვლენებს და თავისებურ ინტელექტუალურ კონტროლს უწყვეტად ახორციელოს მოქმედებას. ესაა მექანიზმი, რომელიც გზას უღობავს რომელიმე პოლიტიკოსის კულტის შექმნას, პოლიტიკურ არენაზე არაინტელექტუალური, უღირსი ადამიანის გამოჩენას. ეფექტურ კონტროლს დასავლეთის პრესა სასამართლო ძალაუფლებასაც ახორციელებს. მაგალითად ზუსტად ადვილად დარღვევას, მის ჩამოყენს, იმისდა მიუხედავად, თუ რა საზოგადოებრივი ადგილი უკავია დაზნაშავეს. ამის შემდეგ იბეჭდება გამოძიების მიმდინარეობის ამსახველი მასალები, რაც გამოძიებაზე თავისებურ კონტროლს წარმოადგენს და ხელს უშლის მსოფლიო დროს კორუფციას.

არ უნდა შეგვიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პრესა დასავლეთშიც ყოველს შემძლეა. მას თავის მხრიდან კონტროლს უწყვეტ პარლამენტის, ის მოქმედებს იმ კანონების ჩარჩოში, რომელსაც პარლამენტი იღებს. საემიონისა მათი დარღვევა მიიღეს და ამოქმედდება სასამართლო ორგანოები. გზებით ან მისი რომელიმე თანამშრომელი ვერავითარი ძალით ვერ აიცილებს სასჯელს. მაგრამ დიდადასაკისრად, ტყუილისაგან დასავლური გაზეთის რეპორტაჟის დაკარგვის საშიშროება უფრო აკაცრებს, რაც ნებისმიერ სასჯელზე უარსაც.

დასავლეთის რეალბა გავიყენებს, რომ პარტიების სიმრავლე მონახლეობის პოლიტიკური ინტერესების დაყოფას იწვევს. საინფორმაციო გაზეთები კი ოპოზიციამ უფლებებიან პარტიებს და ხალხს უფლებებენ ერთნაობის შეგრძენებას. პრესა ძირითადად მაკონტროლებს ფაქტორია. დასავლეთში სწორედ ასეთი გზით ხდება საზოგადოებრივი აზრის გენერირება, ეფექტური კონტროლი ხელისუფლებასზე.

რტიების გამოცემა). პარტიული გამოცემები თავისი პუბლიცისტების პროფესიონალიზმზე დაყრდნობით ცდილობენ მოუპოვონ თავის გაზეთს პოპულარობა და გავლენა. ტელევიზია, ანდა სხვა რაიმე საინფორმაციო გამოცემა არ დაუთმობს მათ დროსა და ადგილს, თუმცა ამის გაკეთება შესაძლებელია ზოგჯერ დიდი თანხის გადახდის ფასად.

დასავლეთის ყურნალისტიკის თეორიის მიხედვით ითვლება, რომ პოლიტიკური ინფორმაციიდან მკითხველი, ან მსმენელი აღიქვამს მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება მასში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. ამიტომ ექცევა იქ დიდი მნიშვნელობა პროპაგანდის დახვეწილობას და მეცნიერულობას.

მაგრამ ზემოქმედების თვალსაზრისით ყველაზე ეფექტიანია ტელევიზია. ამიტომაც ანიჭებენ მას დასავლეთში უპირატეს მნიშვნელობას. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, ამერიკისგან განსხვავებით, ტელევიზია მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ცხადია, არსებობს კომერციული ტელევიზია. ერთი რამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, პრესის თავისუფლებას განმარტებებს საზოგადოების ცალკეულ წევრთა აზრო-

საკვირველია, მაგრამ დესტაბილიზაციის გამოწვევი ფაქტორი შეიძლება იყოს არა მარტო ეკონომიკური კრიზისი, არამედ ეკონომიკური წარმატებაც. მაგალითად, 70-იანი წლებში დასაწყისში დასავლეთის ახალგაზრდობა ფაქტობრივად რევოლუციური გამოსვლების გზას დაადგა, დააყენა რა ექვსი ქვეშ საბაზრო ეკონომიკაზე დაყრდნობილი საზოგადოებრივი იდეალები. რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდობისათვის დასავლეთის საზოგადოება ზედმეტად იყო ორიენტირებული მოგებაზე და მისი წარმოდგენით თრგუნავდა, იგნორირებდა უწყველ ცხოვრების სულიერ მხარეს. ასეთი იდეოლოგიური უარყოფის ემპულსი აშკარად მომდინარეობდა რომანტიკულ ფერებში აღქმული ზოგიერთი სოციალური წარმოდგენიდან, განსაკუთრებით კი მისი ჩინური ნაირსახეობიდან.

დასავლეთის პრესა მაშინვე შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას, და მთელი იდეოლოგიური არსენალის გამოყენებით დააჩქარა ახალგაზრდობა, რომ სოციალური თანასწორობის მიღწევა საკმარისი შესაძლებელია, მაგრამ ამის საფასური იქნება რეპრესიებს, სიღარიბე, პიროვნების დევრადაცია, უფლებების დაკარგვა.

ით, როგორც მსოფლიო დროი იყო, აქაც ადგილი ჰქონდა უკუფეხქმს, რაც ამჟამად გამქაფანდა მათ კონსოლიდაციამ და შეტევაზე გადასვლაში.

ტანკებზე ამხედრებული, საბჭოთა გარდაქმნის პერიოდის დემოკრატია ნამდვილ არსს მაშინ ჩაეწვდებოდა, თუკი ასეთ სიტყვას ბრწყინებს დაეშობოდა. უკანასკნელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ლიბერალიზაციის მიტევობის მიუხედავად ტრადიციონალიზმის ბუნება მაინც უცვლელი რჩება. საბჭოთა ტრადიციონალიზმს ბევრი ცოდა აქვს ჩადენილი. მან მოგვცა ბევრი საშინელი შედეგი, მათ შორის ისიც, რომ თავის დროზე გამოიწვია სათანადო რეაქცია ფაშისმის სახით. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ფაშისმი გახლავთ მაინც წმინდა იტალიური სიტყვა და მოვლენა (ამის განცხადებას მამედინებს იტალიის თანამედროვე ისტორიის საკითხებზე მუშაობის გარკვეული გამოცდილება). იტალიური ფაშისმის ფენომენი გამოვლენილი იყო იმით, რომ გარკვეული ჩამოხრწილობისა და სოციალური განსხვავების შედეგად იტალია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ახლოს იდგა ბოლშევიკური ტიპის რევოლუციასთან. ფა-

შეში ჩაეარდნო მსოფლიოების ნაწილზე, და ხშირად აყენებდა არაეალურ, მაგრამ მისთვის პოპულარობის მომტან ლოზუნგებს. კომუნისტების გავლენის ზრდას ემტანობოდა შექმნილი იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხელს უწყობდა კონფრატაციას, დამატებლობას, ძალთა პოლიაროზაციას. კომუნისმის საფასებით რეალური საშიშროება იტალიაში აღვივებდა მასთან დაპირისპირებულ ნეოფაშისტურ მოძრაობას და ამით გზას უხსნიდა მემარჯვენეთა და მემარცხენეთა ტერიორიზმს. ასეთი ვითარების გამოწვევი მიზეზი იყო ის, რომ ტრადიციონალიზმი დეფორმირებული შეგების მქონე მსოფლიოების ნაწილი, როგორც წესი, არჩევნების დროს კომუნისტებს აძლევდა ხმათა 30 პროცენტს. მსოფლიოების სალი ნაწილი (70 პროცენტი) დემოკრატიულ პარტიებს აძლევდა ხმას, მაგრამ უპირატესობას არც ერთ მათგანს არ ანიჭებდა, ვინაიდან არ ჩანდა ლიბერალური ლიდერი. დემოკრატიული პარტიები იძულებულნი იყვნენ გაერთიანებულიყოფნენ კომუნისტების წინააღმდეგ. ქმნიდნენ კოალიციურ მთავრობებს, მაგრამ ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ. ამის მოპყვებოდა ხოლმე მთავრობების კრიზისი, დათხოვნა,

# დემოკრატია და „დემოკრატია“

ვნების განვითარების დონე და არა პრესის კანონი. სხვათა შორის, ამერიკაში საერთოდ არ არსებობს ასეთი კანონი. მის როლს ასრულებს კონსტიტუციის პირველი შესწორება, სადაც ლაბორატორია ადამიანთა ზოგად პოლიტიკურ უფლებებზე. პრესის მოქმედების უკეთესი შესაძლებლობის პირობებში რუსული, შედარებით დემოკრატიული გამოცემების მიერ საამაბლოს ვითარების ტენდენციური გამოქმნა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ძალზე ადვილად ექვემდებარებიან მანიპულაციებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არ არიან მზად პრესის თავისუფლებისათვის.

საქმოდ გავრცელებულია პროპაგანდის თეორიის სპეციალისტის პაროლდ ლასკელის შეხედულებები. მისი თქმით, ჰიდრაში ჯერ სვებები უნდა ისწავლო, რომ შემდეგ თანამაშო. ასევე უნდა აითვისო ცხოვრების თანამის წესები. სწორედ პრესა უწყობს ხელს ასეთი წარმოდგენების შეხედულებების დაწერვას, იმის ჩვენებას, თუ რა არის საზოგადოებაში დაშვებული და რა აკრძალულია. მისივე მტკიცებით, პრესის გამოჩენამ დასავლეთში ასეთ როლს ფოლკლორი ასრულებდა.

ადამიანის მიერ საზოგადოებრივი წესების შეთვისება, ანუ როგორც მას უწოდებენ სოციალიზაცია, რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ასეთ პროცესში პრესა მხოლოდ ბოლო ეტაპია. მას უსწრებს ჩამოყალიბების უფრო მნიშვნელოვანი ეტაპები: ოჯახი და სკოლა. დასავლეთის სპეციალისტების აზრით, ამ ადრეულ ეტაპზე ხდება ადამიანის მსოფლმხედველობის, წარმოდგენების ჩამოყალიბება და გარკვეული ასაკის შემდეგ (16-23) მისი გარდაქმნა შეუძლებელია. პრესა მხოლოდ ამტკიცებს და აძლიერებს იმ წარმოდგენებს, რომლებიც ადამიანს ჩამოყალიბდა ადრეულ ეტაპზე.

ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით დასავლეთის პრესა მსოფლიოებს უნერგავდა იმ აზრს, რომ მის მიერ შემოთავაზებული დასავლეთის იდეოლოგიური პრინციპები ესადაგება მათ ინტერესებს და მისწრაფებებს. იმადროულად რადიკალურად განსხვავებული საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მანკური პრაქტიკის მოშველიებით დასავლეთის პრესა ასაბუთებდა, რომ მათ წყობილებას არ ჰქონდა რაიმე სალი ალტერნატივა. ცხადია, ზემოქმედების ასეთი მექანიზმი მაშინ არის ძლიერი, როცა თეორიულ პრინციპს ცხადვრების დონე, მატერიალური მხარე ადასტურებს.

სოციალისტური ქვეყნების რეალბა ამის დამადასტურებელ უხვ მასალას იძლეოდა. განსაკუთრებით ადამიანის უფლებების სრული უკუღმეგბელობის თვალსაზრისით ამ მხრივ დასავლეთის პრესამ იმდენი მამხილებელი საბუთი გამოქმნა, რომ თერატიულად ჩაუხსნო ახალგაზრდობას უსადგულო რომანტიზმი და რეალობის გზაზე დააყენა. დასავლეთი ამას არ დასჯერდა, ეწეოდა პროპაგანდისტულ კამპანიას, რაც მთელ მსოფლიოში და, ავტოთვე, საბჭოთა კავშირში ძალზე მნიშვნელოვან გამოძახის პოპულობდა, აქედან უკვე მოსჩანდა საბჭოთა გარდაქმნის კონტურები. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა კავშირმა გარდაქმნის პრიორიტეტულ მიზნად, თუმცა სიტყვიერად, მაგრამ მაინც აღიარა დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა.

ასევე ხაზი უნდა გავსვას ერთ ფაქტს. დასავლეთის პრესამ კი არ გარდაქმნა ახალგაზრდობის ცნობიერება (მთით თეორიის მიხედვით ეს შეუძლებელია), არამედ აღუდგინა აღზრდის პროცესში მათში ჩაერგული პრინციპები. მაგრამ რა არის ეს პრინციპები? უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრება და მისი პატივისცემა, ცხოვრების მიზანი, როგორც პირადი ბედნიერების მიღწევა, აქედან გამომდინარე უკომუნისტო კონსერვტიული ბრძოლა წარმატების მიღწევისათვის. იმავდროულად აღიარებულია ქონებრივი განსხვავებულობის გარდაუვალობა, რის კომპენსაციასაც ახდენს თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, სახელმწიფო ემსახურება ინდივიდს და არა პირიქით.

თუ წინა წინადადებას გადავიყვანო უარყოფით ფორმამში, მაშინ მივიღებთ საბჭოთა ფსევდობას. საბჭოთა გარდაქმნა ემყარებოდა წარმოდგენას (ამას, როგორც ვნახეთ, დასავლეთი არ იზიარებს), რომლის მიხედვით პრესას, პროპაგანდისტულ კამპანიას, შეუძლია შეცვალოს ადამიანში ჩარტილი ბაზისული ფსევდობანი, შეხედულებები. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ გარდაქმნის რეფორმების გატარება დაევალი მათ, ვინც არ იყო დაინტერესებული მისი შედეგით, რადგანაც პრივილეგიებს კარგავდა. დიდი პროპაგანდისტული ძალისხმევის მიუხედავად (წინაა საბჭოთა კავშირში მის ეფექტურობას განაპირობებდა რეპრესიული ძვარატის ამოქმედება, ან მისი ჩარევის პერსპექტივა) არ მომხდარა კონსერვატივობის, ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემის მომხრეა გადემოკრატება. პირიქ-

შიზმს ჰქონდა ბევრი რამ საერთო და განსხვავებულიც გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმთან (როგორც ხედავთ, თვით ეს ტერმინი საქმოდ ბევრის მიმინიშნებელია). კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი — სანამ ფაშისტურ პარტიას ჩამოაყალიბებდა, მუსოლინი იყო იტალიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამიტომ მის მიერ შეკოწიწებული იდეოლოგიური დოქტრინა არ უარყოფდა სოციალური კლასების არსებობას, თუმცა მათ სიძულვილს კი არა, არამედ მათ შორის შერიგებასა და თანამშრომლობას ქადაგებდა. ამიტომაც სახელმწიფო ეგვლით სპეციალურად შეიქმნა მათი ურთიერთობის პარონიაში მოყვანის ეგრეთ წოდებული კორპორაციული სისტემა. ფაშისმის უკიდურესი ნაციონალიზმი წარმოადგენდა დამცვე მექანიზმს კომუნისმის კომპრომიტორული ინტენაციონალიზმის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ იტალიური ფაშისმში გავრთიანებული იყო როგორც ავტორიტარიზმის, ისე ტრადიციონალიზმის ნიშნები (ქვეყნის სათავეში მაინც მეფე რჩებოდა, რამაც მეტად ვადავილა ფაშისტური რეჟიმის დამხობა). საბჭოთა ისტორიკოსებიც კი აღიარებდნენ, რომ გერმანიასთან შედარებით იტალიაში არ ყოფილა ებრაეული დევნა, საკონცენტრაციო ბანაკები. ხოლო საქანში გამომწყვდეული კომპარტიის ხელმძღვანელი ანტონიო გრამში ეწეოდა ინტელექტუალურ შრომას და ომის შემდეგ გამოქვეყნდა მისი „ციხის“ რეკულები“, ფაშისმში აისახა იტალიელ ადამიანის ზოგიერთი ფსაქოლოგიური თვისებები. მას ხშირად ოპერეტისათვის დამახასიათებელი ფარსის იერი ჰქონდა, რაც ბრწყინვალედ აღიბეჭდა ფელისის — „ამარკორში“. სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა დიქტატურის მიერ იტალიელთა შეგნების გარკვეული დეფორმირება, რაც 50-იან წლებში დაღს ასვამდა ომში დამარცხებული იტალიის რეალბას.

იმ დროს ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ მომძლავრდა, მაგრამ საქყვის პერიოდში იმ დონემდე არ ასულა, რომ მთავრობას შეეძლებოდა სოციალური სამართლიანობის რეგულირებას მოხდენა. ეს ქმნიდა გარკვეულ სოციალურ დამბულობას და ასპარეზს უხსნიდა იტალიის კომუნისტურ პარტიას. ის დემოკრატიულ ზემოქმედება დაბალი შეგნების მქონე, სიღარი-

გაუთავებელი კონსულტაციები მათი შექმნისათვის. ამიტომ იყო, რომ 1964 წელს იტალია ახლოს იდგა სამხედრო გადატრიალებასთან (ამის შესახებ იტალიური პრესაში ბევრი ცნობა იბეჭდება), მაგრამ, საბედნიეროდ, დემოკრატიის საფუძველი იტალიაში საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა. ამ ვითარებამ კომუნისტებზეც მოახდინა გავლენა. იტალიაში დემოკრატია გადარჩენას იმანაც შეუწყობს ხელი, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ მთავრობამ გაამყარა კანონის ზოგიერთი დებულება (მაგალითად შემოიღო ტერიორიზმი ექვემდინარე პირთა ადგილზე ჩხრეკვის უფლება). მანამდე ამის გაკეთებას ერიდებოდნენ, რადგან ეს ბევრს დემოკრატის დარღვევად მიაჩნდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული სისტემა სხვებზე უფრო კარგად არის მორგებული ნებისმიერი კრიზისის გადასლახავად. ასეთი კრიზისი, დესტაბილიზაცია კი ნებისმიერი ყაღდის პოლიტიკური სისტემის ხვედრია. როგორც წესი, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა პერიოდულად გადის სტაბილიზაცია (ლიბერალიზაცია) — დესტაბილიზაციის (გამაჯერების) ციკლს. დესტაბილიზაციის დროს ნებისმიერი ხელისუფლება ავლენს თვალაცვით ინსტიტუს, აწარმოებს გარკვეულ შეზღუდვებს და სიმკაცრეს, როცა კრიზისი დაძლეულია, მანამ საზოგადოება აღარ ეგუება ასეთ სიმკაცრეს და იწყება ლიბერალიზაციის პროცესი. შემდეგ კვლავიერი ისევე თავიდან იწყება ტრადიციონალური სისტემის უტორს კრიზისის დაძლევა, რკარესიული ქმედების წინააღმდეგობებს ჩქმელებს, ყოველივე ამის შედეგად იტალიის კომუნისტური რეჟიმით ასევე დასავლეთში ვკვირ ვულკანივით ამოხეტაქვს ხოლმე.

დემოკრატიის უპირატესობა ტრადიციონალიზმზე მდგომარეობს კონფლიქტების, წინააღმდეგობების, სიმკაცრეების უნარიან რეგულირებაში, სწორ წარმართვაში, საზოგადოებრივი წყულებების უმტკივნეულო თერაბიასა და ტრადიციონალიზმისათვის დამახასიათებელი ქიროზგიული ჩარევის აუცილებლობის თავიდან აცილებაში.

დემოკრატიაშიც ახასიათებს გარკვეული ამპლიტუდა უკიდურესი ლიბერალიზმიდან გარკვეულ გამკაცრებამდე. მაგალითად, რეიგანის პრეზიდენტობა გახლავთ რეაქცია კარტრის ლიბერალიზმზე, დათმობების პოლიტიკაზე, რამაც ამერი-

კა-სერიოზული კრიზისისაკენ წაიყვანა. ინგლისში გარკვეული გამოკვრების პოლიტიკით (ანაკლია საზოგადოების ნაწილი ბრალს დებდა, როგორც ავტორიტარიზმს) ტეტჩერმა შესძლო პროფკავშირების დათრგუნვა, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივად ინგლისში ბატონები იყვნენ. 50-იან წლებში ალკირის ომით გამოწვეული კრიზისის გამო დე გოლმა მოახდინა მის მიერ დაკავებული პრეზიდენტის თანამდებობის ფუნქციის მკვეთრი გადიდება საფრანგეთის პარლამენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. ფრანგი კომუნისტებიც აღიარებენ ამჟამად დე გოლს დიდ პოლიტიკოსად, თუმცა თავის დროზე მის მოქმედებას ნათლად ვერ ხედავენ, როგორც პირადი ძალაუფლების რეჟიმს. ამ აზრს სხვებიც იზიარებდნენ, მაგრამ სწორედ ალკირის დათმობით, რასაც მოჰყვა მილიონამდე ფრანგის იქიდან წასვლა, რეფორმებით დე გოლმა შეძლო სამხედრო პუტჩის თავიდან აცილება და დემოკრატიის შენარჩუნება.

იმდროინდელ საფრანგეთში გამეფებულ ქალის იმთავითვე ხსნიდნენ, რომ პარლამენტში პარტიების რიცხოვნობის გამო საზოგადოება თანაბარი იყო და ამით პოლიტიკურ უძლურობას, ექსპოზას, ურთიერთბრძოლას ეწყობოდა ხელი, სწორედ ამიტომაც დე გოლს რეფორმა მიზნად ისახავდა პრეზიდენტის უფლებების გაფართოებას.

ბოლო წლების ამერიკაში ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა პრეზიდენტობის პოსტზე ამომრჩევლები უპირატესობას აძლევენ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელს, ხოლო კონგრესის, გუბერნატორების არჩევნებში იმარჯვებენ დემოკრატები. ამერიკელ პროფესორ პორეიცი ეს იდეალურ ვარიანტად ესახება, მაგრამ მის კოლეგას ცნობილ სპეციალისტს პატრისონს ასეთი სისტემა მიანია წინააღმდეგ დემოკრატიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის („ოუეს თუდეი“ 8, XII, 1988).

იაპონიის მოდელი სხვა პრინციპზეა დაყრდნობილი. ომის შემდეგ ჩატარებულ პირველ არჩევნებში დიდი უპირატესობით გამარჯვებული დემოკრატიული პარტიამ, რომელიც აქამდე ინარჩუნებდა ძალაუფლებას და 40 წელზე მეტია ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას. თუ რა შედეგები მოიტანა ასეთმა თავისებურმა რეფორმამ, ამას ლაპარაკი ზედმეტია. იაპონიის წარმატების ერთ-ერთი მიზეზია უცხოური დემოკრატიისა, თუ სხვა სახის გამოცდილების მიმოხილვის საყოფარესო სპეციალისტების მიხედვით. მართლაც, სხვისი გამოცდილები უკრიტიკოდ გადმოღება, მერტად, ალბათ, ამერიკელებისა, რომელსაც, გასაგებია მიზეზების გამო, კომპრომიტების ელემენტები ახლავს, არა ყოველთვის უწყინარი საქმი — თავად დემოკრატია არ უნდა გადაეყვანათ კულტად. ისაა სესტიკმა. რომელიც ნებისმიერ ადამიანს დიდ მოთხოვნებს უყენებს.

ფილიპინო ფილიპინის მეტად განხილულ ფელში „ორკესტრის რეპეტიცია“, ერთი სიტყვაც არაა დაძრული პოლიტიკის შესახებ. ფილმში ნაჩვენებია ორკესტრი, რომლის ყოველ წევრს საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტი სხვებზე სრულყოფილად მიაჩნია, ხოლო საკუთარი ნიჭიერება, სხვებთან შედარებით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანად ესახება. მათ არ სურთ, კოლეგებს აუბან მხარი და ააღურონ წარმატებას, ასეთი გადამეტებული ინდივიდუალიზმი აწვევს კონფრონტაციას და ისეთ აყალბაყალს, რომ შენობას, სადაც ისინი შეკრებილი არიან, დანგრევა ემუქრება, ხოლო ღირსიერების მიხედვით მოხვება და ინტელექტუალური ნაღობი ავტორიტარულ აქტებს იძენს. რეჟისორი ამბობს, რომ დემოკრატიის ეფექტურობისათვის და გადარჩენისათვის საზოგადოებამ

უნდა გამოახოს შეფარდების გონივრული წერტილი ინდივიდუალიზმსა და კოლექტიურ პასუხისმგებლობას შორის. მისი თქმით, აქედან რომელიმე მხარისაკენ გადახრა მეტად საშიშროებაა და დემოკრატიას ქაოსად აქცევს. ეს იყო ფილმი-გაფრთხილება, რომელმაც უნდა ითქვას, ხელოვნებისათვის უჩვეულო შედეგი მოიტანა, იტალიის პარლამენტში კამათი გამოიწვია და გარკვეული დადებითი გავლენა იქონია იტალიის პოლიტიკურ ვითარებაზე. ჩვენში არსებულ რეალობაზე დაყრდნობით ფილმი რომ გადავიდო, ალბათ, ფელინი მას სხვაგვარად გაიზარებდა. წარმოდგენა და მოყვარულ მუსიკოსებს, რომლებიც პრიმიტიულ მელოდიას ასრულებენ და ნოტების ცნობაც არ ეხერხებათ. მოულოდნელად მათ ეძლევათ ნამდვილი ინსტრუმენტი, შედარებით რთული პარტიტურა. ტკბილი მელოდიის მაგივრად აქედან უფრო კაჟაფონია შესანიშნავი საშუალება შემსრულებელთა დისკრიმინაციისათვის.

ბანალობა იმის თქმა, რომ მაღალი პოტენციური უნარის გამოვლენისთვის ნოტების, პარტიტურის შეთვისება, რეპეტიციების ჩატარება საჭიროა. დასწრებით იგივე უნდა გაკეთდეს დემოკრატიული რეფორმების ჩატარებისას. ასე მოქმედებდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც თავის დროზე ჩამორჩნენ განვითარებული ქვეყნების მიერ აღებული მაღალ ტემპს. მაგალითად, იაპონიამ ფეოდალიზმიდან ლიბერალიზმამდე წარმატებით ნაბიჯი გადადგა მაშინ, როცა დემოკრატიული რეფორმები ჩაატარა პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებთან თანაბარ პრობოტიკულ მეთოდებში, თუმცა მას თითქმის ასი წელი დასჭირდა დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრებისათვის.

ტოტალიტარიზმიდან სრულყოფილ ლიბერალურ დემოკრატიამდე გადასვლისათვის იტალიას დასჭირდა რამდენიმე ათეული წელი და ეს მოხდა მაშინ, როცა ახალი თაობა წამოიზარდა. მიიქციეთ ყურადღება, იტალიის რესპუბლიკა აშერია, მას ეკონომიკა განვითარებული ჰქონდა, არ უხდებოდა ბრძოლა დემოკრატიული რეფორმებისათვის, თავისი ეროვნული სასიცოცხლო სივრცის დასაცავად. დასავლური ტიპის დემოკრატია არ მყარდება დეკრეტით. მისი დამკვიდრება არ ხდება უმეტესწილად და ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოციმულ საზოგადოებაში არ არსებობს მისი მნიშვნელოვანი წინაპირობა: კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკური საფუძველი და, რაც მთავარია, დაჭედილებული საზოგადოების წევრთა ერთიანი ნორმები. ამასთანავე, შეუძლებელია ერთი ხელის მოსმით დასავლური ყაიდის დემოკრატიული უფლებების მთლიანი უზრუნველყოფა იმ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ მიჯაჭვულია სხვა სახელმწიფოს ტოტალიტარულ სტრუქტურებზე (მაგალითად მხრია, რამეი დაპირისპირა კენტრს, როცა უარს ამბობს ადამიანის უპირველეს უფლებაზე — თავისუფალი მიგრაციის დაშვებაზე და სათანადო სავალუტო რეზერვით, აგრეთვე, მის ხელშეშლად).

ვინც ამას მოითხოვს, კარგად ესმის, რომ ეწევა დესტრუქციულ და არა კონსტრუქციულ ოპორირებას. მართლაც, დასავლეთის ტიპის ლიბერალური დემოკრატიისაკენ გადასვლა მოითხოვს გარდამავალ პერიოდს, რომლის დროსაც მხარე ტემპით ხდება ადამიანის უფლებების სულ უფრო ფართო სპექტრის გათვალისწინება, სოციალური სამართლიანობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ტოტალიტარიზმი შლის ადამიანს არსებულ მორალურ კანონს, რაც ასე აღაფრთოვანებდა კანტს, ამიტომ ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ გარდამავალ პერიოდში საჭიროა კანონის მოქმედებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფა, მისი თავისებური ბატონობა, რომელსაც ყველა უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივი რანგის მიუხედავად.

ნოდარ ბაბაშვილი

ბატონი იულონ ბაბაშვილი დაინიშნა მცხეთის რაიონის პრეფექტად. იულონ ბაბაშვილი დაინიშნა მცხეთის რაიონის პრეფექტად. იულონ ბაბაშვილი დაინიშნა მცხეთის რაიონის პრეფექტად.

1958 წლიდან სამხედრო ელიზიტური ხანის ნაქალაქარის გათხრებზე მუშაობს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მას მერე მუშაობს ჯანდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბოლო 2 წელი — არქეოლოგიის განყოფილების გამგედ. არის ისტორიული მემკვიდრეობათა დოქტორი.

1958 წლიდან მონაწილეობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში, 1966 წლიდან სამხედრო ელიზიტური ხანის ნაქალაქარის გათხრებზე მუშაობს, შემდეგ — დედოფლის მინდვრის წარმართული სატაძრო კომპლექსისა და ანტიკური ხანის სახანოს გათხრებზე. ამჟამად შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია.

მისი მონაწილეობით შემუშავდა პირველი საინფორმაციო-საძიებო ავტომატიზირებული სისტემა არქეოლოგიური და სახელმწიფო ექსპონატებისთვის და მონდა სისტემის კომპიუტერული რეალიზაცია, დაიწყო სამუშაო ინფორმაციის ფაქტოგრაფიული ბანკის შექმნა.


ქართული ენციკლოპედიის რედაქტორ-კონსულტანტია არქეოლოგიის დარგში.

ავტორია 150 გამოქვეყნებული ნაშრომისა, აქედან 7 ცალკე წიგნად გამოვიდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. არის მწვანეთა პარტიის წევრი.

პყავს ცოლი, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. ზინე კორეხონდელი ირაპლი ლომიძის შვილია ბატონ იულონ ბაბაშვილის და სთხოვა მოეთხორო მის საქმიანობას და სამომავლო გეგმებზე.

# საუბარი პრეფექტთან



ოხ, ახალი სტრუქტურები ჯერ არ შექმნილა, ქვეყანა კინაღამ ანარქიამ მოიცვა. მჭერა, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მცხეთის რაიონი პრეფექტისთვის განსაკუთრებით რთული რაიონია, უპირველესად იმიტომ, რომ მცხეთა საქართველოს რელიგიური ცენტრია, მცხეთაში მოიხატება იესო ქრისტეს კვათი, მცხეთაში ქადაგებდა წმინდა ნინო, იქ ეზიარა ქართული ერი ქრისტიანობას, იქ მღვდნარეობს ჩვენი საკათედრო ტაძარი... საქართველოს მთავალი ქართული ეკლესიის აღმარების გარეშე ჯერ წარმომადგენია. ჩვენი სულიერი დეგრადაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ რუსეთმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმა, ხოლო ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესია გაუმდებულ დეგრადაციულ მდგომარეობაში დატოვდა, რომ არქეოლოგი ვეცავი, ჩემი ქვეყნის წარსულს გეცნობდი. მაგრამ ისტორიის შესწავლა თვითმზანი არ არის და არც შეიძლება იყოს, წარსულის ცოდნა გვჭირდება იმისთვის, რომ ერთა ცოცხლობა, ტრადიციების დაცვამდე ვერის სიკვდილის ტოლფასია. როდესაც ხალხმა იცის, საიდან მოდის, ვისი მემკვიდრეა, ეროვნული სიამაყის გრძობა უფრო მდგრადია, ეს კი აუცილებელი პირობაა ერის სოციალური განვითარებისათვის. ამდენად, ჩვენ, ისტორიკოსები, ქვეყნის მომავალს ვემსახურებით.

მეცხეთაში არასოდეს მიფიქრია რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობდი, რომ არქეოლოგი ვეცავი, ჩემი ქვეყნის წარსულს გეცნობდი. მაგრამ ისტორიის შესწავლა თვითმზანი არ არის და არც შეიძლება იყოს, წარსულის ცოდნა გვჭირდება იმისთვის, რომ ერთა ცოცხლობა, ტრადიციების დაცვამდე ვერის სიკვდილის ტოლფასია. როდესაც ხალხმა იცის, საიდან მოდის, ვისი მემკვიდრეა, ეროვნული სიამაყის გრძობა უფრო მდგრადია, ეს კი აუცილებელი პირობაა ერის სოციალური განვითარებისათვის. ამდენად, ჩვენ, ისტორიკოსები, ქვეყნის მომავალს ვემსახურებით.

მაგრამ ჩემი მდგომარეობა ერთიანად შეიცვალა, როდესაც ბატონმა ზვიად გამსახურდამ შემომთავაზა პრეფექტობა, დამისაბუთა, რომ მცხეთას უნდა უხელმძღვანელოს ისტორიკოსმა ან ხელოვნებათმცოდნემ. მეც სწორედ ამიტომ დავთანხმდი — მცხეთა ჩვეულებრივი ქალაქი არაა, რელიგიის და კულტურის უდიდესი ცენტრია.

მცხეთა ჩემი უსაყვარლესი ქალაქია, არქეოლოგიის მცხეთაში შემაყვარა, ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, არქეოლოგიამ შემაყვარა მცხეთა... შემდეგ 12 წელი ვმუშაობდი მცხეთის რაიონში, სადალდოს ნაქალაქარის გათხრებზე, არქეოლოგს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში წარსული აინტერესებს, მაგრამ მეუბნება ველზე უხდება, ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივ კონტაქტშია, იცის, ხალხს რა უჭირს, რა უხინის და სწორედ ამის მეტყველებაში ცოდნაზე გამაბედინა პრეფექტობა.

კარგად მესმის, როდენ საპსუნის მდებარეობა ეს თანამდებობა. პრეფექტი აღჭურვილია ძალიან დიდი უფლებებით, მაგრამ ეს უფლებები უზარმაზარ პასუხისმგებლობას აკისრებს, ყველაფერზე თვითონ აგებს პასუხს, არადა, გასაუთებელი უამრავზე უამრავია... გარდამავალ პერიოდში უზენაესმა საბჭომ პრეფექტურების საშუალებით მომავალ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს საფუძველი უნდა ჩაუყაროს. პრეფექტის ინსტიტუტი, ჩემი აზრით, დროებითია, მაგრამ აუცილებელი, რადგან ამას მოითხოვს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა — ძველი ხელისუფლება აღარ არსებობს.

მცხეთის რაიონში მდებარეობს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია — თვითონ მცხეთა, სამთავროს სამართლიანი, ბავიეთი, არამხისხევა, ძალისა, ნასტავისი, წილკანი... ყველა ამ ძეგლს მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს არ არის მარტო ჩვენი დღევანდელი საკუთრება, არც წარსულის განძია მხოლოდ, ამ ძეგლებში ჩვენი მომავლის საფუძველია ჩადებული. შთამომავლობას ისე უნდა გადაეცეთ, რომ არ დაგვრჩება...

მცხეთის მუზეუმის აღდგენის ნაკარგულად გამოცხადება არ შეიძლება. მცხეთა ცოცხალი ორგანიზმი და არა მკვდარი სიმუხეუმო ექსპონატი. მცხეთაში სხვადასხვა ცხოვრებით უნდა იცხოვროს და ასე შეინარჩუნოს ტრადიციის უწყვეტობა. მაგრამ ის, რომ მცხეთა ცოცხალი ქალაქია, თავისთავად ქმნის ბევრ სირთულეს, ხდება მოსახლისა და ძველის ინტერესების შეჯახება. ვთქვათ, ვილაკის დიდი სახლის აშენება უნდა, ეს კი ტაძრის აღქმას ხელს შეუშლის... საქართველოში სათუთი მოპყრობა, რომ მცხეთა არ დაზარალდეს, და ამავე დროს, ხალხმაც ნორმალურად იცხოვროს.

მცხეთაზე დიდ გავლენას ახდენს თბილისის სიახლოვე, ფაქტობრივად მცხეთა თბილისის ავტომეგარაციის შემადგენელ ნაწილად იქცა. ასე მაგალითად, გლდანის მასივი თბილისის ნაწილია, სოფელი გლდანია კი მცხეთის რაიონში შედის, დიდძალ ტერაქორიაზე, რომელიც რაიონს ეკუთვნის, ქალაქი აშენდა, დიდძალი ტერიტორია დაიბრძოდა დასჭირდა, რომ დიდძალ ველის ახვევარი მიანიც შეინარჩუნებინათ. თბილისი მძიმედ აწევა მცხეთას. ჩვეულებრივ ამაღ იქცა თბილისიდან მცხეთაში დაწესებულმა-საქართველოს გადასვლა, მხოლოდ და მხოლოდ სიახლოვის გამო. კაცი შეიძლება თბილისში ცხოვრობდეს, მაგრამ მცხეთაში მისაბურობდეს...

ძალზე მტკივნეული პრობლემაა აგარაკების პრობლემა. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ძალზე ბევრი ე. წ. საბაბოსტნი ნაკვეთი დაარდეს, რაც, ჩემი აზრით, დიდი გავლენას ახდენს, მიდამო დიდ დატვირთვას განიცდის, არადა, მტკვრის, არაგვის, თემის ხეობები მისიანხი და გასაფრთხილებელია. რაც ვაფუქდა, გაფუქდა, აგარაკების წართმევა, რასაკვირველია, არ შეიძლება, მაგრამ მომავალში სრულყოფილი არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა გაიქცეს.

თბილისის სიახლოვე მცხეთის რაიონს დამატებით ფუნქციას აკისრებს — თბილისის მომარაგებას ბოსტნეულით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით.

აქედან გამომდინარე, ჩვენი უახლოესი მიზანია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დროულად ჩატარდეს. ასევე, როგორც მიიღეს საბჭოთა კავშირში, სოფლის მეურნეობა ჩვენი ერთ-ერთი მომავალია. ნამდვილი შიმშილობა (რუსეთს რომ არ აერტხულ განუცდია) ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამის მიზეზი იყო საქართველოს მოქნილი ეკონომიკური სისტემა, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს.

დღეს არსებული აგროსამრეწველო სტრუქტურები მანკიერია, მაგრამ მათი ერთბაშად შეცვლა შეუძლებელია. ახლის შექმნას დრო სჭირდება, ამიტომ, ჯერჯერობით, ძველი ფორმები უნდა დარჩეს. მაგრამ მომავალი საქართველოს სოფლის მეურნეობა, ჩემი აზრით, გლეხური უნდა იყოს, როდესაც მიწა გლეხის საკუთრება იქნება.

მცხეთის რაიონმა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტია უნდა აწარმოოს. თბილისის სამივე წყალს მცხეთის რაიონიდან იღებს, ამიტომ დაუშვებელია შიმშილიანობისა და ქიმიური სასუქების გამოყენება, რათა თავიდან ავიცილო წყლის მოწამვლა (ამის თაობაზე მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება არსებობს).

აუცილებელი უნდა გადავიდეთ სოფლის მეურნეობის ბიოდინამიურ მოდელზე. ეს ნიშნავს — აღდგინოთ მეურნეობის ძველი, ტრადიციული წესი.

მიწა, სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავარი სიმდიდრეა და აქცენტი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უნდა გადავკეთოთ, მივალწიოთ იმას, რომ საქართველო განდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. როგორც ეკონომისტებმა დაიანგარიშეს, ეს ეკონომიკურადაც მომგებელია. შესაძლოა, პირველ ხანებში მოსავალმა წაწილობრივ დაიკლოს, მაგრამ საბოლოო ჯამში გაიზარდება, ხარისხი კი გაცილებით უკეთესი იქნება, საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი პროდუქციის ფასი დაემატება.

განზრახული გვაქვს მცხეთის რაიონი მომავალი საქართველოს

# საშპარი პრეზენტაციონ

(დახასრული)

იდეალური სოფლის მეურნეობის ერთგვარ საცდელ პოლიგონად ვაცხადებ.

ცხადია, ამას რესურსების პოტენციის მეცნიერული გათვლა სჭირდება, წინასწარ უნდა მოხდეს შეფასება, შესწავლა და გაანგარიშება — რა უნდა მოვაშენოთ და როგორ. ამ საკითხზე გვექონდა საშუალო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, დასტურიც მივიღეთ.

აუცილებლად ვიზრუნებთ მიტოვებული სოფლების, ნასოფლარების აღდგენაზე.

მცხეთის სერითუხუთ პაროლზე ისაა, რომ მცხეთა წარმოადგენს კვანძს, სადაც იკვეთება სამანქანო ტრასები, ვადის რკინიგზა, ნავთობსადენი, ორი ვახსადენი, წყალსადენები, მაღალი ძაბვის ხაზები, საკანალიზაციო კოლექტორი და ეს ყველაფერი თავმოყრილია მცირე ტერიტორიაზე, ასე რომ, განაშენიანება ძალზე გართულებულია, ხალხი წლობით ელოდება ბინას. რაიონში საქარმიდამო ნაკვეთები დიდი ხანია არ გაცემულა, არადა, მოსახლეობა გაიზარდა, ოჯახები გასაყოფია. ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადავჭრაო.

ქალაქისთვის ნავის გადაყრაც კი პრობლემა იქცა. სრულიად დაუშვებელია იქ გადაყრა, სადაც დღეს იყრება. პერსპექტივაში ვვარაუდობთ ნავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას, მაგრამ ამას 1-2 წელი მაინც დასჭირდება.

რაიონში არსებულ თითქმის არც ერთ ქარხანას არა აქვს გამწვანდნი ნაკვეთები. კანალიზაცია ვითომ არსებობს, მაგრამ გადაქაჩი სადგური არ მუშაობს, ამიტომ ყველაფერი მდინარეში ჩაედინება. ანგვარი პრობლემა უამრავია.

მიუხედავად იმისა, რომ მცხეთის რაიონში თითქმის არ არის სოფელი, რომელშიც წამყოფი არ ვიყო, ახლა თავიდან ვეცნობი, სხვა თვა-

ლით ვუყურებ, ვცდილობ ყველაფერს ჩაეწვდეს და ეს არ არის იოლი საქმე. თუ აღვივლებოდა მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს პრეფექტს, ვერც თავის უფლებების გამოყენებით და ვერც სიმკაცრით ვერაფერს გააწყობს.

რამდენიმე დღეა, რაც პრეფექტი ვარ და ეს დრო მოვანდომე მეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებთან, აღმასკომის თანამშრომლებთან შეხვედრებს. იმ საკითხების დაზუსტება-დაკონკრეტებას, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაწყვეტას სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურისა თუ სოციალურ სფეროებში.

რაიონში რამდენიმე სამხედრო ნაწილია. მიღწეულია შეთანხმება, ჯვრის მონატრის ქვეშ მდებარე ნაწილი მალე სხვა ადგილას გადავა.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის რაიონში არც ერთი რუსული სკოლა არ არის. გახსნილია მხოლოდ რამდენიმე კლასი სანხედროების შვილებისათვის.

რაიონში რამდენიმე ქართულ-ოსური და ოსური სოფელია. რამე ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

ჯერ კიდევ გასარკვევია საბჭოებისა და ახალი სტრუქტურების ურთიერთობა.

მცხეთის რაიონი, ისევე, როგორ მთელი საქართველო, სასახუხისმგებლო მიმენტის წინაშე დგას — უნდა ავირჩიოთ საკრებულოები. საკრებულომ, ფაქტობრივად, არსებული საბჭო უნდა შეცვალოს, პრეფექტის საზოგადოებრივ საყრდენად იქცეს. დიდი ხნის წინ უნდა აქვს, თუ ვინ მოხვდება საკრებულოში.

იმედი მაქვს, არჩევნებში ეროვნული ძალები გაიმარჯვებენ, უზენაეს საბჭოს მხარს დაუჭერენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს შენებაში.



რევი  
მარტო

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამასპის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ, ქართლის (იბერიის) მეფე გახდა რევი მარტალი, ამასპის დისწული. მეფობდა ქრისტეს დაბადების შემდეგ III საუკუნის შუა წლებში.

რევის ცოლი ყოფილა ბერძენი „სული ლოლოთეთისა, სახელით სეფელია. და მან მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდისტოს, და აღმართა თავსა მცხეთისასა“. მიგრამ მიუხედავად იმისა, რომ რევი წარმართი იყო, „არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ქრტივეულთა“. შემატანეს ცნობით, ამის მიზეზი ქრისტიანობისადმი რევის კეთილგანწყობა ყოფილა. „რამეთუ სმენილ იყო მცირედ რამე სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი“. რევი მფარველობდა ქრისტიანებს, აკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, ამის გამო უწოდეს მარტალი. „ამან მეფობასა შინა მისსა აკრიბა ქართლს შინა კლვა ყრმათა; რომელსა შესწირვედინ კერპთა მსხუერპლად. ვიდრე იყო იგი მეფედ, არღარავინ კლვიდა ყრმათა კერპთათვის, არამედ ცხოვარსა და ზროხასა. ამისთვისდა ეწოდა რევი მარტალი. იყო და მოკლდა“.

მანა სიმონიას ნახატი

## ისევ კონგრესის არჩევნების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის“ 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება კონგრესის არჩევნების ჩატარების კანონიერებასთან დაკავშირებით. ამასთან ექვი იყო გამოთქმული თვით არჩევნების ჩატარების ობიექტურობასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ექვის საბაბი მართლაც არსებობს და ეს ექვი მომდინარეობს არა მარტო საარჩევნო უზენაეს „დაკვირვებით“, არამედ თვით კონგრესის საარჩევნო კომისიის განცხადებებიდან. კერძოდ, ვაზეთ „7 დღე“-ში

(№10-11, 17 ოქტომბერი, 1990 წ.) დაბეჭდილი საარჩევნო კომისიის ცნობით, 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე 1.379.600 ამომრჩეველიდან დადებითი ხმა მიუცია 1.060.438-ს. საბოლოო შედეგების მიხედვით კი შესაბამისი რიცხვებია 1.505.547 და 1.357.924 (გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 23 ოქტომბერი, 1990 წ.). გამოდის, რომ 14 ოქტომბერს არჩევნებში მონაწილე 125.947-დან დადებითი ხმა მიუცია 297.486 ამომრჩეველს? შესაძლებელია ორი ვარიანტი:

ან ერთ ამომრჩეველს 2-3 ხმა ჰქონია, ან ზემოთ აღნიშნულ რიცხვებში შეცდომაა გააზრდილი. თუმცა, საარჩევნო კომისიას დღემდე არსად უარუყვია მათი სისწორე. ამასთან, არც ერთი ამ ვარიანტისგან არ შეესაბამება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ბატონ მერაბ ალექსიძის განცხადებას, რომ: „საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ჩატარდა არა მარტო დემოკრატიულ ვითარებაში, არამედ მისი საოქმო ნაწილიც ბრწყინვალედ არის გაფორმებული. ეს ჩვენი ისტორიაა“ (გაზეთ „თბილისი“, 24 ოქტომბერი, 1990 წ.). ყოველივე ზემოაღნიშნული კი დიდი გვარადი საჩუქარია ისტორიისთვის.

ბ. ჩუთლაშვილი, ს. ჩინჩალაძე

„მათი შთამომავლობა ჰირცხვილით დაიწვება თავიანთი პოლიტიკოსი წინაპრების მიერ ეროვნული კონგრესის მიმართ უპასუხისმგებლო და ახსურდული ბრალდების გამო... ვინც მონაწილეობა მიიღო ეროვნული კონგრესის არჩევნებში და დღეს საგონებელშია ჩავარდნილი, ვარწმუნებთ: მოვა დრო, როცა ისინი თავს მოიწონებენ შთამომავლობის წინაშე, რომ ხმა მისცეს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებს.“

თეზურ ფიფია

„საქართველოს რესპუბლიკა“ № 27 (47) 9 თებერვალი, 1991 წ.

## დაშორებულგობა—2091

(ფელეტონი)

შუადღის ძილის დრომ მოატანა, საძინებელ ოთახში „იავნანა“ აუღერდა. საბავშვო ბაღი ჩვეულებრივად უხმაურად ახრიალდა სივრცეში და ორბიტაზე გავიდა. კბერნეტიკულმა ძიამ კიდევ ერთხელ გადაავლო ობიექტივი საძილეს, შეამოწმა — ბავშვებს უკვე ეძინათ — და ოთახიდან გაფარფატდა.

მაგრამ ორ ონავარს არ ეძინა. ნწლის თემურიკომ 3 წლის გვიგლის მუჭლუგუნე წაპკრა და უჩურჩულა.

— იცი, რატომ გავყევართ კოსმოსში დახაძინებლად? — წონას რომ კარგავ, უკეთ იხვევებო. — მიუგო ჭკვიანმა გვიგილომ.

— დებილო! ხალხი ხათამაშოდ რომ ვერ გავიდეთ, იმითომ გვიგილომ გაოცებისაგან თვალები ჭკობდა.

— მართლა? — აბა! ეხა თავისუფლება? მოქალაქის ძალით აძინებენ! — აღშფოთებით წამოიძახა თემურიკომ.

— ეს დიქტატორაა! — კვირი დაუკრა გვიგილომ — როცა ზურთის თამაში მინდა, კომპიუტერს მაჩეჩებენ — ივარჯიშეო, როცა შოკ-

ოლადი — კატელტ მტენიან... რატომ არიან ასეთი ცუდები? — მისმინე! — თემურიკო გვიგილოსკენ მიიწია, აჩურჩულდა — საიდუმლო გავიგე!... მამაჩემი ძველი ამბების პროფესორია, გუშინ უკვებოდა, თურმე, დიდი ხნის წინ საქართველო დამონებული უყოფილა...

— ვიცი, ეგ რა საიდუმლოა! — გააწყვეტინა გვიგილომ — მონღოლები გვაწვალდებდნენ, იმათ მიფეხის ერქვა... გორბი-ხანი!

— მაგას არ გეუბნები!... ადრე უყოფილა კონგრესი, გმირი მაგარი მებრძოლი, და ამ კონგრესს უთქვა-ამხ, ვინც ხმა არ მომცა, იმის შთამომავლობას შერცხვებო, შოდა, მივხვდი, უფროსებს რცხვნიათ, გაბოროტდნენ და ამიტომაც გვჩაგრავენ!

...ცოტა ხნის შემდეგ საძილესი აინთო სინათლე, აწკრილდა ზარი. ბავშვები უჩრავნე გადადიოდნენ. დაფეთებული ძიმა ოთახში შევარდა, ობიექტივი უშველებელი მოლოგრაფიული პლაკატი შეეჩრება — კონგრესის მხარდამხერეთა შედლთაშვილები ვაცხადებთ გავიცვას! ძირს ტერორი! გაუქმდეს დღისით ძილი! გაუშარჯოს დემოკრატიას!!!

ირაპლი ლომოვარი

**ვინც 15 მარტამდე მოასწრებს გამონერას, აკრილიდან ყოველკვირულად მიიღებს გაზეთს**

**„თავისუფალი საქართველო“**

- ფასი: 1 თვით — 2 მან. 15 კაპ.
- 3 თვით — 6 მან. 45 კაპ.
- 6 თვით — 12 მან. 90 კაპ.
- 12 თვით — 25 მან. 80 კაპ.